4
ა-759

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

თამარ გიგოს ასული არაბული

# ბილინგვიზმი და ბავშვის ენა
## (ინგლისურ და ქართულ მასალაზე)

10.02.07 – ტიპოლოგიური და შედარებითი
ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

ავტორეფერატი

თბილისი
2005

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლილი გოქსაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10.02.04)

ოფიციალური ოპონენტები: 1. თინათინ ბოლქვაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
(10.02.07)
2. რუსუდან კავთიაშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
კანდიდატი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 30 ნოემბერს, 13 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10.07. №7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, I კორპუსი, ი.ჭავჭავაძის სახელობის სხდომათა დარბაზი.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

მისამართი: თბილისი, 0134, უნივერსიტეტის ქ. №2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 30 ოქტომბერს.

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი რ. ქურდაძე

Библиотека
Тбилисского гос. ...

-2028-

## შესავალი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და უაღრესად საინტერესო საკითხს – ბილინგვი ბავშვის ენობრივი განვითარების თავისებურებებს.

ნაშრომის თემის **აქტუალურობა** განისაზღვრება იმით, რომ ბილინგვი ბავშვის ენობრივი განვითარება განხილულია სრულიად განსხვავებულ ჭრილში, რაც განპირობებულია იმით, რომ რამდენადაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდანაა ცნობილი, ბავშვის ენობრივ განვითარებას შეისწავლიან უფრო ვიწრო კუთხით, კერძოდ, ერთი ენობრივი გარემოს ფარგლებში, ან II, ანუ სამიზნე ენის შემსწავლის თვალსაზრისით, ხოლო ბავშვის მიერ ორი ენის ერთდროულად ათვისება და ამ ათვისებაზე გავლენის მომხდენი ფაქტორებისა და ინტერფერენციისა და განვითარებადი შეცდომების ანალიზის კუთხით ბავშვის, და მით უმეტეს, ბილინგვი ბავშვის ენა შესწავლილი არ არის.

ნაშრომის სამეცნიერო **სიახლე** მდგომარეობს იმ შედეგებში, რომელიც მივიღეთ კონკრეტული ამოცანების გადაჭრის შედეგად. კერძოდ,

1. ვაანალიზებთ იმ მსგავსებებსა და განსხვავებებს, რომელიც გამოვლინდა ბილინგვსა და ერთენოვან ბავშვთა ენობრივ განვითარებაზე დაკვირვებით;
2. ბილინგვას ენობრივ განვითარებას განვხილავთ პრაგმატიკული, კერძოდ მიკროპრაგმატიკული ასპექტების – დეიქსისისა და სამეტყველო აქტების რეალიზაციის თვალსაზრისით;
3. წარმოვადგენთ ინგლისურ-ქართული ბილინგვი ბავშვის განვითარების ეტაპებს ორიდან შვიდ წლამდე;

ნაშრომის **მიზანია** ბილინგვი ბავშვის განვითარება განიხილოს არა მხოლოდ ენობრივი თვალსაზრისით, არამედ ამ განვითარების განმაპირობებელი ფაქტორების კუთხითაც, რითაც იგი მოიცავს როგორც ლინგვისტურ, ისე პრაგმატიკულსა და ფსიქოლოგიურ სფეროებსაც.

ნაშრომის **ამოცანებია:**

1. დაადგინოს ბავშვებში ბილინგვიზმის მოვლენის დადებითი ბუნება;
2. განიხილოს ბავშვის ბილინგვად ქცევის პროცესზე გავლენის მომხდენი ფაქტორები;
3. მოახდინოს სამეტყველო აქტების რეალიზაციისთვის საჭირო სტრატეგიების კლასიფიკაცია და გამოავლინოს შესაბამისი კონკრეტული შემთხვევები.